ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დადგენილების მიღება განპირობებულია სამუშაოს მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამჟამად არსებულ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს გამოეყოს დარგობრივად არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის საკითხები და არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური ჩამოყალიბდეს ცალკე სტრუქტურულ ერთეულად.

დადგენილების მიღება იწვევს ცვლილებას გამგეობის სტრუქტურაში.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში ნინო ვაჩეიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია